სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №11 (4586) ● 2 ოქტომბერი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

გილოცავთ სწავლის დაწყებას!
წარმატებული ყოფილიყოს 2019-2020 სასწავლო წელი

გვესაუბრება თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორი კახაბერ გვანცელაძე

ყველაფერი საუკეთესო ბავშვებისთვის გვინდა

– გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! საზოგადოების აზრით, გასული წელი წარმატებული იყო. ამას მოწმობს ბავშვთა მშობლების უთვალავი მადლობები. გთხოვთ, მოკლედ გვიპასუხოთ, ახალ სასწავლო წელს რა სიახლეებია ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ახალი ბაგა-ბაღების, ძველის რემონტ-რეაბილიტაციისა და სხვა მიზნით რა მუშაობა ჩატარდა?

– გმადლობთ ასეთი შეფასებისთვის. რაც შეეხება 2019-2020 სააღმზრდელო წელს, სიახლეები მართლაც ბევრი გვაქვს, უმთავრესად ინფრასტრუქტურის მიმართულებით. უპრეცედენტო მასშტაბების სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო თუ სამშენებლო პროექტებით დავიწყეთ ჩვენ 2019 წელი, რომელთა ნაწილი დასრულდა, დანარჩენი კი ეტაპობრივად დამთავრდება.

არაერთ ინტერვიუში მითქვამს, რომ წელს სააგენტომ 9 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა დაიწყო, რომელთაგან **5 მიმდინარე წლის ბოლომდე გაიხსნება** და ჩვენ კიდევ 1500-მდე პატარას მივცემთ შესაძლებლობას, მიიღოს სკოლამდელი განათლების სერვისი. ამასთანავე, ჩვენ ვახორციელებთ **9 ბაგა-ბაღის შენობის გამაგრების უმნიშვნელოვანეს პროექტებს,** რომელთაგან **6 ბაღის შენობა** მთაწმინდის რაიონში მდებარეობს, მათგან **2 კულტურული** მემკვიდრეობის ძეგლია. თბილისის **N4, N170, N200, N100, N126, N150, N144, N55** და **N2** საბავშვო ბაღების ავარიულობის შესახებ დასკვნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დადო, რის შემდეგაც კრიტიკულ მდგომარეობაში არსებული შენობებიდან ბავშვები ახლომდებარე ბაღებში ან ალტერნატიულ ფართებში გადავანაწილეთ. პროექტების დასრულებისთანავე, აღსაზრდელები განახლებულ, უსაფრთხო და კეთილმოწყობილ შენობებში დაბრუნდებიან.

არანაკლები მასშტაბისაა სარემონტო სამუშაოები, რომელიც თბილისის **50-ზე** მეტ ბაღში დავაფინანსეთ (იქნება ეს ინტერიერის, სახურავის, კანალიზაციის და სხვა შიდა ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე, დამოუკიდებელი ტექნიკური შენობების მშენებლობა და ა.შ.), ამდენივე ბაღში მოეწყო ახალი **სათამაშო მოედნები, სპორტული მოედნები** და **ეზოს სხვა ინფრასტრუქტურა**, მათ შორის, შეიცვალა **გზის საფარი.**

უახლოეს მომავალში ვგეგმავთ უკვე **ავარიულობის გამო დახურული ბაღების დემონტაჟისა და მშენებლობის პროექტების განხორციელებას,** რაც თავის მხრივ მოიტანს იმ შედეგს, რომ სხვა ბაღებში გადანაწილებული კონტინგენტი დაუბრუნდება თავიანთ ბაღებს.

– რა გაკეთდება აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული დონის ასამაღლებლად? იგეგმება თუ არა რამე ახალი ბაგა-ბაღების თანამშრომელთა მატერიალურ-მორალური წახალისების მიზნით?

– ამ მიმართულებით მუშაობას არ ვწყვეტთ. პერსონალის გადამზადების უამრავი პროექტი განვახორციელეთ სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ბავშვთა განვითარების საკითხებზე მუშაობენ. ეს პარტნიორობა და თანამშრომლობა გრძელდება. ზოგ შემთხვევაში ხდება რამდენიმე ბაღის შერჩევა კონკრეტული გადამზადების ტრენინგისთვის, ძირითადად კი თითოეულ პროექტში ჩართულია აბსოლუტურად ყველა ბაღის შესაბამისი პერსონალი. მატერიალური წახალისების პრაქტიკა ჩვენ არ გვაქვს, თუმცა სამომავლოდ, აღმზრდელთა სერტიფიცირების შედეგად, გვაქვს მოლოდინი, რომ **იქნება გარკვეული ცვლილებები ანაზღაურების მიმართულებით.** დაველოდოთ პროცესს, რომელზეც განათლების სამინისტრო მუშაობს.

– სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში „სასკოლო მზაობის პროგრამასთან“ ერთად კიდევ თუ არის ახალი პროექტები?

– როგორც კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ისე ბავშვთა განვითარების მიმართულებითაც მუდმივად გვაქვს სიახლეები. ეს **პროცესიც სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ასევე ილიას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გზით ხორციელდება.** ხდება სხვადასხვა **სახელმძღვანელოების მომზადება-გამოცემა,** რომელსაც ჩვენ პრაქტიკაში ვიყენებთ. ბოლო რაც მახსენდება, იყო სახელმძღვანელო უკვე არა ბავშვების ან პერსონალის, არამედ **მშობლებისათვის.** ეს არის ერთგვარი ინსტრუქცია იმისა, თუ როგორ უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული მშობელი იმისათვის, რომ ჩვენ შედეგად მივიღოთ ბავშვის სწორი და ჰარმონიული განვითარება.

– ბავშვთა უსაფრთხოების, სამედიცინო, სანჰიგიენური მომსახურებისა და კვების დარგში რა სიახლეები დაინერგა?

– აღნიშნულ სფეროში მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფო **სტანდარტები უკვე დანერგილია** და ჩვენ, როგორც აღმასრულებელი რგოლი ამ პროცესში, უზრუნველვყოფთ მის აღსრულებას. თუმცა ჩვენ დავნერგეთ სიახლეები გასულ წელს, როდესაც ბაღში იყო **ტუბერკულოზის** შემთხვევა, ასევე გავაძლიერეთ კონტროლი **ვაქცინაციის** მიმართულებით, რადგან, მოგეხსენებათ, ქვეყანაში გვქონდა **წითელას** ეპიდემია. გაზაფხულზე სავალდებულო გახდა ვაქცინაცია და ჩვენ ამის კონტროლი განვახორციელეთ. ასევე, პერსონალისთვის სავალდებულო გავხადეთ ყოველწლიურად ტუბერკულოზის შესახებ ცნობის წარმოდგენა. ბაღებში მაქსიმალურად ვიცავთ ჰიგიენას, ვახდენთ სხვადასხვა სახის სადეზინფექციო საშუალებებს, ხდება წმენდა-დასუფთავება ყოველდღიურად და გენერალური დასუფთავება კვირის ბოლოს. ასევე, კეთდება სასმელი წყლის კვლევა, პროდუქტის კონტროლი და ა.შ.

– კიდევ რა საკითხზე გსურთ ყურადღების გამახვილება და რისი თქმა გნებავთ ჩვენი მრავალათასიანი მკითხველისთვის?

– ჩვენ საკმაოდ საპასუხისმგებლო სფერო გვაბარია, აქ საუბარია **61 000 ბავშვზე,** მათ უსაფრთხოებასა და განვითარებაზე. ჩვენი მიზანია, **მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გავხადოთ სკოლამდელი განათლება და ეს განათლება შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს.** სწორედ ამას ემსახურება ჩვენ მიერ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გაუმჯობესებისა თუ პერსონალის განვითარებისა და ახალი მიდგომების დანერგვის პროექტები. **მადლობას გიხდით ამ საკითხებით დაინტერესებისათვის.**

ესაუბრნენ ჟურნალისტები:

ნინო გულბათაშვილი და მზია გოგოძე.

რედაქტორის მინაწერი: გაზეთ **„სახალხო განათლება+**-ის“ რედაქცია თბილისის ბაგა-ბაღების დირექტორებს, აღმზრდელ-პედაგოგებს, ყველა მუშაკს გულმხურვალედ ულოცავს სასწავლო წლის დაწყებას და ახალ წარმატებებს უსურვებს.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

მორის ფოცხიშვილი

ჩემს მასწავლებლებს

კვლავ თქვენი დღეა და მე ვიგონებ
თქვენი სულივით წმინდა
ყველა კახაბერს, ყველა დიდგორელს,
ყველას, ვინც დღემდემდე გვზრდიდა.

მწუხრში თქვენდარი შემწე ვინ ნახა,
გულს გვიცისკროვნებთ მზისებრ, –
მასწავლებლებო, მეთქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებლო, გისმენთ!

არც რა ეშმა და არც რა განგება,
სისხლო, ცეცხლივით მწყრალო,
საქართველოსთვის თავის დადებას
ჩვენ ისევ შენგან ვსწავლობ...

არც რა უღელი, არც რა გალია,
არც რა ღრუბელი მრუმე, –
რაც მისწავლია, მე მისწავლია
თქვენი ცხოვრებითთურმე.

მე უნდა გითხრათ ახლა მადლობა
და თქვენ გადიდოთ თრთოლვით, –
სინათლესავით შუბლზე გადნებათ
ფიქრად ქცეული თოვლი.

ნეტა, უთქვენოდ შვება ვინ ნახა,
სულს გვიცისკროვნებთ მზისებრ, –
მასწავლებლებო, მე თქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებლებო გისმენთ!

თუ სწავლას ეძიებ

„ნისლიანი ალბიონი?“ არა, კაშკაშა „ალბიონი“

– ევრიკა! – შესძახა არქიმედმა და ტიტლიკანა გამოვარდა აბანოდან, როცა აუზში მონებივრეს გონება მყისიერად გაუცისკროვნდა – წყალში ჩაძირულ სხეულზე ძალის ზემოქმედების კანონი აღმოაჩინა.

ნიუტონმა ვაშლით ნატკენი თავი მოისრისა და დედამიწის მიზიდულობის კანონი დაგვიტოვა.

გალილეიმ ტაძარში მოქანავე ჭაღს უყურა, უყურა და ქანქარის პრინციპით გაამდიდრა კაცობრიობა.

დიდ ისაკს მანამდეც დასცემია თავში ვაშლიო, ვერ ვიტყვით, მაგრამ არქიმედი – აბანოში, გალილეი კი ტაძარში ბევრჯერ რომ იქნებოდნენ ნამყოფი, ცხადია. თუმცა, გონება სწორედ მაშინ გაუნათდათ, როცა მრავალ ხანს დაძაბული ფიქრისა და ძიებისგან იგი საამისოდ მომწიფდა. ნიუტონისთვისაც ვაშლი ის ბოლო ბიძგი იყო, რამაც მანამდე მიზანმიმართულად მომუშავე მისი ტვინი „მიზიდულობის კანონით გაანათა“.

არც კერძო სკოლა **„ალბიონის“** დირექტორს ბატონ **სანდრო ჯავახიშვილს** მოსვლია სპონტანურად სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების დაარსების იდეა. საქართველოს განათლების სისტემაში ძნელად მოიძებნება მისებრ გამოცდილი და მცოდნე მუშაკი. ამაში ოდენ ამ დარგში, ფაქტობრივად, ყველა საფეხურზე მრავალი ათწლეული მუშაობა როდი იგულისხმება პედაგოგობიდან – ხელმძღვანელ თანამდებობებამდე, რაც, თავისთავად დიდებულია, რადგან სკოლა შიგნიდანაც უწყის – იცის, რა უჭირს და რა ულხინს მასწავლებელს – და ადმინისტრირებაც ხელეწიფება, არამედ ის უმთავრესი, რომ ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდას უძღვნა. ჰოდა, სრულიად ლოგიკური იყო, რომ 1996 წელს **„ალბიონი“** დააარსა. რატომ **„ალბიონი“**? (ეს ბრიტანეთის ძველი სახელწოდებაა).

იმიტომ, რომ საქართველოში პირველად სწორედ აქ შემოიღეს ინგლისური ენის პირველი კლასიდანვე სწავლება, რაც ახლაც გრძელდება და ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებული ორი მოსწავლე, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სწორედ ინგლისშია „მივლინებული“.

მაშ, **„ალბიონი“** 23 წელს მოითვლის. ცოტაა ეს, თუ ბევრი? გააჩნია, რისთვის. მერწმუნეთ, ეს არცთუ დიდი დროა, ურთულესი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ისე დასალაგებლად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ისე გასამართავად, მართლაც მოწოდებით პედაგოგთა ისეთი გუნდის ჩამოსაყალიბებლად და ყმაწვილების სწავლა-აღზრდაში ისეთი შედეგების მოსაპოვებლად, რომ სამჯერ უშენიშვნოდ გაიარო ავტორიზება, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, საუკეთესო კერძო სკოლის (2012 წ.) სახელი მოგენიჭოს და ოქროს მედლით დაგაჯილდოონ.

650 მოსწავლეს 9 მიკროავტობუსი ემსახურება. ყველა საგანში სათანადოდ გამართულ-აღჭურვილი კლას-კაბინეტები და ლაბორატორიებია, აქვთ 200-ადგილიანი დიდებული სააქტო და სპორტული დარბაზები, მოედნები. სასწავლო გეგმის მიღმა მოსწავლეებს დამატებითი საათები უტარდებათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (გრამატიკის გაკვეთილები ცალკეა, რაც მით უფრო ფასეულია, რომ სკოლებში ფაქტობრივად არ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა), სახალისო მათემატიკაში, უცხო ენებში, მეტყველების კულტურაში, რითმულ გაკვეთილებში, სპორტში – კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი. მოქმედებს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი და ცეკვის სტუდია, რაშიც მშობლები დამატებით გადასახადს არ იხდიან.

შარშანდელი 52 კურსდამთავრებულიდან – 37-მა მოიპოვა სხვადასხვა გრანტი და უმრავლესობა პირველი არჩევის უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა. 12 მედალოსანი ჰყავდათ: 10 – ოქროსი, 2 – ვერცხლის.

და კიდევ: **„ალბიონში“** სასწავლებლად მისული არსად გადადის სასწავლებლად – აქ იწყებს და აქვე ამთავრებს. ვგონებ, გასაგებია რაოდენ მრავლისმეტყველია ეს ფაქტი.

სწავლა-აღზრდაში არ არის წვრილმანი პრობლემა. თითქოსდა წვრილმანი ხშირად ძალზე მსხვილმანად შემოგვიბრუნებია და სავალალო შედეგებიც ჰქონია. ამიტომ გასახარია და მისაბაძია, რომ ალბიონელებს თავისი სასწავლო ფორმა აქვთ. ეს ხომ ყმაწვილებს დისციპლინას უფრო მეტად აჩვევს – ფორმაც განაპირობებს, რომ იგი სკოლაში მიდის და სათანადოდ უნდა მოექცეს და ერთგვარი გამორჩეულობაცაა – მე ალბიონელი ვარ!

სწავლა-აღზრდა განუყოფელი პროცესია. ალბათ, სწორედ ამის ერთობ ორიგინალური და არსობრივი გამოხატულებაა, რომ „ალბიონში“ კლასების დამრიგებლებს აღმზრდელებს უწოდებენ. ასეც გამოკვეთეს პედაგოგის უდიდესი როლი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღრზდაში.

სკოლის 57-ვე პედაგოგის ძალისხმევა, რომელთაგან 44 უფროსი მასწავლებელია, 2 – წამყვანი, სწორედ აქეთაა მიმართული.

თადარიგიანი მეურნე ხვნაში იჭერს თადარიგს, რომ მკა უხვმოსავლიანი იყოს. **„ალბიონს“** ბაგა-ბაღი აქვს – **„მომავალი ალბიონელები“.** მაგრამ მხოლოდ

სახელწოდება რის მაქნისია? მთავარი საქმეა და, ვგონებ ზემოთქმული საკმარისზე მეტიცაა იმის გასასიგრძეგანებლად, რომ სწორედ **„ალბიონის“** წარმატებები, ავტორიტეტი განაპირობებს – მშობლებს ჯერ ამ ბაღში შეჰყავთ შვილები და შემდეგ ისინი **„ალბიონში“** განაგრძნობენ და ამთავრებენ კიდეც სწავლას. ფაქტი? ინებეთ: წელსაც ერთი პირველი კლასი – 20 მოსწავლე – მთლიანად ბაღიდან შეივსო. აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ერთ კლასში არ არის 20-ზე მეტი მოსწავლე, რაც კიდევ უფრო ამაღლებს პედაგოგთა შრომის მარგი ქმედების კოეფიციენტს, აადვილებს კლასისა და მასწავლებლის ურთიერთობას.

წლეულს გეოგრაფიის, ფიზიკა-მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის 5 ახალი მასწავლებელი მიიღეს, თუმცა არა სხვათა გაშვების ხარჯზე. გვჯერა, ისინი ძალზე მალე გახდებიან ამ ერთ გუნდად შეკრული, შემოქმედ პედაგოგთა კოლექტივის ორგანული ნაწილი. გოგებაშვილის „დედა ენაც“ დაუბრუნდა სკოლას, თუმცა ჯერ დამხმარე სახელმძღვანელოდ, მაგრამ ესეც აშკარად წინწადგმული ნაბიჯია, რადგან გენიოსის გენიალური ქმნილების ადგილი სწორედ იქაა, რისთვისაც ის თავის დროზე დაიწერა.

დირექტორს მხარში უდგანან და „ალბიონის“ თვალსაჩინო წარმატებებში ასევე თვალსაჩინოა განათლების დარგის მრავალნაცადი მუშაკების, მისი მოადგილეების, ქალბატონების: **მარიკა ილურიძისა** (პირველი მოადგილე) და **ვენერა ჩიფჩიურის** ღვაწლი.

მთლიანობაში კი ეს მთელი კოლექტივის ერთობლივი, მიზანმიმართული, შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

ზემოთ აღვნიშნე, **„ალბიონი“** ბრიტანეთის ძველი სახელწოდება არის მეთქი. სრულად ასე გამოითქმის – **„ნისლიანი ალბიონი“,** მაგრამ კერძო სკოლა **„ალბიონში“** ნისლიანობის ნაცვლად, ცოდნის კერა კაშკაშებს.

კოტე სარალიძე

სიახლეები 106-ე სკოლის სადარბაზო ბარათია

ილიასეული თერგის დარად

ბიბლიით, სამშობლო იქიდან დაიწყო, საცა პირველი წინაპარი დაიმარხა. ამ საფლავმა მიაჯაჭვა ადამიანი იმ ადგილს, ამუშაკა და ლოცვად დააყუდა.

აი, იქიდან, ათადან-ბაბადან მოყოლებული, ყოველი ადამის ძის ღვაწლი იმით ფასდება, თუ რა მიიტანა მან ქვეყნის სამსხვერპლოზე, რა არგო სამშობლოსა და მოყვასს...

ნუ შევედრებით ერის ჭეშმარიტად ზეპურ მამებს. მოღვაწე, ღვაწლი ძალზე ფართო და ტევადი ცნებებია, ყველა იმას გულისხმობს, ვინც ალალად ასრულებდა და ასრულებს ღვთით დაკისრებულს და ოდითგანვე ასე რომ ყოფილიყო, ეგებ, აღარც დავითს დასჭირვებოდა აღმაშენებლობა, დემეტრეს – თავდადებულობა, გიორგის – ბრწყინვალეობა და აღარც ასიათასობით უსახელო უფლისციხელს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვა.

დასტურად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მოვიხმოთ: „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება.“ ქვეყნისთვის კი ნებისმიერ ჩვენგანს ძალუძს ნებისმიერ ადგილზე იმუშაკოს, ოღონდ, საამისო ნება ჰქონდეს და თითო აგური მიიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარზე. ყოველი შენობა ხომ ასე, აგურ-აგურ იგება, ამ „მცირეთა“ ყოველდღიური მუყაითი, პატიოსანი შრომა ხომ სწორედ ის მტკიცე საძირკველია, რაც მართლაც გამორჩეულთა მოღვაწეობის საძირკველია.

და იმაზე აღმატებული საზოგადო, საქვეყნო საქმე რაღაა, თუ არა ოდენ სწორედ ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, მცოდნე თაობების, მომავალი მოღვაწეების აღზრდა?!

ამიტომ არის დასაფასებელი ყოველი ჭეშმარიტი, მრწამსით პედაგოგი, რადგან „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში ყოველი სტუმრობა დაგარწმუნებთ, რომ ჭეშმარიტად ამოუწურავია ადამიანის შესაძლებლობები – დღენიადაგ ინერგება ჰარმონიული პიროვნების აღსაზრდელად გამიზნული სიახლეები. ილიაისეული თერგი გამახსენდა, მოძრაობა და მოძრაობაა, ჩემო თერგო, ქვეყნისათვის ძალისა და სიცოცხლის მიმცემიო.

პედაგოგებს სრული შემოქმედებითი თავისუფლება აქვთ, ყოველი გონივრული ინიციატივა ჰპოვებს მხარდაჭერასა და პრაქტიკულ დახმარებას.

გამიზნული ინდივიდუალურ-გუნდური მუშაობა განაპირობებს იმ დიდებულ შედეგებს, სკოლა რომ აღწევს ყოველწლიურად და ასევე ყოველწლიურად აუმჯობესებს მიღწევებს.

გამოვკვეთავ: სკოლის განუხრელი წინსვლა, მთელი

კოლექტივის დამსახურებაა, მაგრამ სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე, კოლექტივის მარგი ქმედების კოეფიციენტი გაწეულ შრომაზე გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

ათწლეულობით გვიჭედავდნენ თავში, ისტორიის წარმართველი ძალა მასაა. კი „ფაფხურობდნენ“ აქა-იქ

პიროვნებები, მაგრამ ძირითადი ძალა მასა იყო და არისო. არადა, ისტორია სწორედ საპირისპიროს ღაღადებს.

ასეა: სადაც უნდა იყო, რასაც უნდა აკეთებდე, მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და სწორედ იმ ადგილზე, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც იშვი ამქვეყნად. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, სხვანი – ვერა და ედებიან ღობე-ყორეს, მედროვეობასა და მომხვეჭელობაში ამოსდით სული.

106-ე სკოლის დირექტორი ბატონი **თენგიზ გულორდავა** რა ხანია მისმა ანგელოზმა განათლების დარგში დაადგინა. შეიშნოვა ეს მადლი?

დირექტორი 2013 წლიდანაა, არჩეული დირექტორი – 2014-დან.

გავერანებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობა და 322 მოსწავლე დახვდა. ახლა სკოლა ავ თვალს არ ენახვება და... 1300 მოსწავლეა, ანუ თითქმის 400 %-იანი მატება სულ რაღაც შვიდიოდ წელიწადში! არის კი ასეთი პრეცედენტი საქართველოში?!

ოთხი წელიწადია 7 პირველი კლასი იხსნება. წლეულს 175-მა ყმაწვილმა შეაღო სკოლის კარი და ისინი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ ისწავლიან. სკოლამ ეს უბერებელი, გენიოსის გენიალური ქმნილება აირჩია ძირითად სახელმძღვანელოდ. და, რაკი, ეგზიუპერის თქმით, ყველანი ბავშვობიდან ვადი, უაქტუალურესი თემაა და ამაზე მომავალში მოგახსენებთ.

ყოველი სკოლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმა საერთოა და სწორედ აქაა „დამარხული ძაღლის თავი“ – როგორ ასხამ ხორცს მას? გამოწვლილვით, მაგრამ ტრაფარეტულად მიჰყვები, თუ შემოქმედებითად უდგები? შენეული შეგაქვს მასში?

სკოლა ეროვნულ გეგმას რომ წარმატებით ახორციელებს,ამის დასტური თუნდაც ესაა: ეროვნულ, კინგსისა თუ ევროესტის ოლიმპიადებში 150-ზე მეტო მოსწავლე წარმატებით მონაწილეობდა. ცხადია, სკოლა ყოველ მოსწავლეს აძლევს ცოდნას, მაგრამ მჯობნის მჯობნი ღმერთმა არ გამოგვილიოს და ეს 150 მოსწავლეც სხვათაგან გამორჩეულია.

შემოქმედებით მიდგომას მივუბრუნდეთ: ვიცით, რაოდენი პრობლემაა მშობლების სკოლის ცხოვრებაში ნამდვილად (არა ფურცელზე) ჩართვა. 106-ე სკოლაში მამებიც ჩართეს ამ პროცესში – „მამების ფორუმი“ დაარსეს. „შვილებზე განსაკუთრებით მზრუნველი“ მამის ტიტული თავიდან 9 მამას მიეკუთვნა. შარშანდელი სასწავლო წლის მიხედვით კი – 14-ს.

შვილების, სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის ერთი მხარე ბატონ **გოჩა ტყეშელაშვილის** (სწორედ მან გადასცა სათანადო სიგელები 16 სექტემბერს 14 მამას) პროექტის „იზრუნე ჯის“ მიზანმიმართული და გააზრებული გამოყენებაა.

პროექტის არსი: ყოველი თვის ბოლო კვირას, თითოეული მოსწავლე სხვადასხვა საგანში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესატყვის ტესტებს იღებს. ამ დავალებებს ბავშვები მამებთან ერთად (მამა უფრო აკონტროლებს, გულშემატკივრობს) ასრულებენ და რაოდენ სასიხარულოა ბავშვისთვის მამის თვალწინ რომ შეასრულებს დავალებას და – სიამაყე მამისთვის, რაოდენ აახლოებს ეს მამა-შვილს. გამარჯვებულები ოქროს სიგელებით ჯილდოვდებიან. არის ვერცხლისა და ბრინჯაოს სიგელებიც. მუშაობენ კლასებშიც. 500-ზე მეტი ყმაწვილია ჩართული ამ პროექტში. პირველ ჯერზე, ქულების მიხედვით, კლასს „მეგობრული კლასის“ ტიტული ენიჭება; თუ ექვსჯერ დაიმსახურეს მაღალი ქულები – „სუპერკლასისა“; მომდევნო საფეხური კი „მომავლის კლასია“. უკვე 19 „სუპერკლასი“ და, აქედან, 9 „მომავლის კლასი ჰყავთ. ასეთი მუშაობა, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ყმაწვილებს როგორ აახლოებს, ამეგობრებს, ვგონებ, ცხადზე უცხადესია.

ვიმეორებ – ჭეშმარიტად ამოუწურავია ადამიანის შესაძლებლობები. ოღონდ, მოინდომე, გაიაზრე, გაისარჯე (უფალიც ხომ გვმოძღვრავს, ეძიებდე და ჰპოვებდეო...). და კიდევ ერთი დიდებული სიახლეც სახეზეა: სკოლა დიდებულად გაფორმებულ ეზოში ვარსკვლავებს უხსნის მედალოსნებს. შესატყვისად, ოქროსას და ვერცხლისას. ჯერ სულ სამი ვარსკვლავია, მაგრამ იყოს ცოტა და ნაღდი. სკოლა რაოდენობას ხარისხსს არ შესწირავს.

ჩავუკვირდეთ: ასე ხომ, ფაქტობრივად, უკვდავყვეს მედალოსნები და რაოდენი

→ გაგრძელება მე-4 გვ.

მესამე გვერდიდან

ილიასეული თერგის დარად

სტიმულია ეს ყმაწვილებისთვის?! უკვე ოქროს მედლის 14 კანდიდატი ჰყავთ!

გავა დრო, მჯერა კვლავ იქნება 106-ე სკოლა და ვარსკვლავებში უკვდავყოფილნი მიიყვანენ იქ შვილებს, შვილიშვილებს...

გამოცდილი და ახალგაზრდა პედაგოგების ერთობლივი მუშაობა სწორედ იმ ოქროს შუალედს ქმნის, რასაც ასეთი დიდებული შედეგები მოაქვს.

კონტინგენტის ასეთი „ბობოქარი“ ყოველწლიური ზრდა, ასევე ყოველწლიურად პედაგოგთა რიგების შევსვებას მოითხოვს – ყოველწლიურად 5-6 პედაგოგს. კიდევ ერთი მისაბაძი მაგალითი: კადრების შერჩევისას სკოლა, დირექტორი ახალგაზრდებს ენდობა. ეს პროცესი – ახალგაზრდების სკოლებში მოზიდვა ახლა რომ დაიწყო განათლების სისტემაში, 106-ე სკოლაში კარგა ხანია ხორციელდება. წლეულსაც... 14 ახალგაზრდა პედაგოგი დაასაქმეს. ხომ პარადოქსია: ოფიციალურად, გამოცდილებასა და სერთიფიკატებს მოითხოვენ. ჰოდა, თუ არ ამუშავე, არ ენდე, საიდან – გამოცდილება და სერთიფიკატები?! გამოცდილება მოვა, სერთიფიკატებიც იქნება, ენდე და ამუშავე!

დაბოლოს ის, რაც აუცილებელია ყველა სკოლაში – კოლეგების პატივისცემა, დაფასება. ქალბატონმა **დოდო გურგენიშვილმა** 38 წელი იმუშავა 106-ე სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ცხადია, თაობები აღზარდა. გასიგრძეგანებული ჰქონდა, რაოდენი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, რადგან ერთხელ მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძალზე ძნელია, ხშირად კი – შეუძლებელიც და ამიტომ რუდუნებით, სულითა და გულით იღვაწა პატარების სწავლა-აღზრდის იმთავითვე სწორ კალაპოტში წარსამართავად. ქალბატონმა დოდომ ადგილი ახალგაზრდებს დაუთმო. სკოლამ ასეც დააფასა მისი დიდი მუშაკობა – სკოლის საპატიო მასწავლებლის ტიტული მიანიჭა! ხომ დიდებულია, როცა სწორედ ის გიფასებს, აღნიშნავს შენს დამსახურებას, ვისაც ყველაზე უკეთ ძალუძს ამ ღვაწლის დანახვაცა და დაფასებაც.

ესტაფეტა ახალგაზრდებს გადავცეთ. ვინ არიან, საიდან, როგორ მოვიდნენ 106 სკოლაში, როგორ შეეწყვნენ კოლექტივს, რას ისახავენ მიზნად?

სადარბაზო ბარათი:

სოფიკო მეხაშიშვილი. დაამთავრა თსუ-ის ბაკალავრიატი და ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 2014 წლიდან ასწავლიდა მუღანლოს სკოლაში აზერბაიჯანულ სექტორზე ქართულს. მასწავლებელთა სახლის პროექტის შესაბამისად, დისტანციურად ასწავლიდა მშობლიურ ენას ქართველ ემიგრანტთა შვილებს. 2 წელია მუშაობს ამ პროექტში. არის I-IV კლასელების სახელმძღვანელოს მეთოდური ნაწილის (მასწავლებლის წიგნის) თანაავტორი. ჰყავს ორი შვილი.

სოფიკო მეხაშიშვილი: „სიტყვებით ძნელია გადმოსცე, როგორ საოცარ გარემოში ვარ. ერთიანი, შეკრული გუნდია – ერთი ყველასათვის, ყველა – ერთისათვის. მხოლოდ წელიწადია, რაც აქა ვარ და არსად ვაპირებ წასვლას. დიდი მადლობა ნდობიასთვის. საოცარი ბავშვები მყავს – ნიჭიერები, ბეჯითები. ჩემი მიზანია ქვეყანას ღირსეული მოქალაქეები აღვუზარდო“.

სადარბაზო ბარათი:

გალინა მეცხვარიშვილი. 2015 წელს დაამთავრა ილიას სახელობის უნივერსიტეტი დაწყებითი კლასების პედაგოგის სპეციალობით. შემდეგ – მაგისტრატურა განათლების სისტემის ადმინისტრირების განხრით და დოქტურანტურაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. ბოლო კურსიდან მუშაობდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლაში დამხმარე პედაგოგად. მომდევნო წელს სადამრიგებლოდ I კლასი ჩააბარეს.

გალინა მეცხვარიშვილი: „მეოთხე წელიწადია 106-ე სკოლაში ვარ. ჩემი აღსაზრდელები უკვე IV კლასში არიან. მადლობა სკოლას, უშუალოდ ბატონ თენგიზს, რომ გვენდნენ და თავის გამოჩენის საშუალება მოგვცეს. სკოლის მუშაობის ხარისხიანობას სამი უმნიშვნელოვანესი რგოლი განაპირობებს: სკოლა – მოსწავლე – ოჯახი. ამიტომ ჩემი ძალისხმევა თავიდანვე ამ სამი რგოლის ერთობლივი, შეწყობილი, მიზანმიმართული მუშაობისკენ არის მიმართული“.

სადარბაზო ბარათი:

თეონა ბექაური. 2008 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. 1006-ე სკოლაში ამ სასწავლო წლიდანაა. ჰყავს ორი შვილი.

თეონა ბექაური: „ივნისში ბატონ თენგიზთან გასაუბრების შემდეგ მიმიღეს დაწყებითი კლასების პედაგოგად. ეს რომ არა, ვინ მიმიღებდა სკოლაში? მთელი კოლექტივი განვითარებაზეა ორიენტირებული. სრული შესაძლებლობა გეძლევა საუკეთესო გახდე. დიდებული კოლექტივია. ბედნიერი ვარ“.

უკომენტაროდ. გამგები გაიგებს.

კონსტანტინე გურგენიძე

P. S. ყველაზე „ტკბილი ლუკმა“ – ბოლოსათვის, უფრო ზუსტად, სამომავლოდ შემოვინახე. იმ ძალუმ ეროვნულ სულზე მოგახსენებთ, მთლიანად რომ მსჭვალავს 106-ე საჯარო სკოლის მთელ მუშაობას (აკი, დაწყებითების ძირითად სახელმძღვანელოდ იაკობისეული „დედა ენა“ აირჩიეს), მაგრამ, ზემოთაც აღვნიშნე, ეს ცალკე თემაა-მეთქი და, ბატონ თენგიზთან შეთანხმებით, მომავალში აუცილებლად დავწერ ამის თაობაზე.

მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: დიდ პანოზე საქართველოს რუკაა გამოსახული ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე ყოველი კუთხის აღნიშვნით. პანოს თავზე კი 33 ანგელოზია გამოსახული და თითოეულს ქართული ანბანის თითო ასო-ბგერა უპყრია.

აუცილებლად გაბრწყინდება საქართველო – ერთიანი, განუყოფელი, მართლმადიდებელი და ამაში უთუოდ დიდი იქნება იმ ახალგაზრდების წვლილი, ვინაც, 106-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მსგავსად, ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნულ ფასეულობებზე აღიზრდება.

ნომრის სტუმარი 142-ე საჯარო სკოლა

სიახლეებით სავსე ახალი სასწავლო წელი



საჯარო სკოლებში რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების, ცოდნის მიწოდებისა თუ სხვა პრიორიტეტების დანერგვაში, ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები, ფსიქოლოგები, განათლების სპეციალისტები და თავად მოსწავლეებიც. ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი ჯგუფების მიზნებისა და სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაზე, ერთსულოვნად ზრუნავს თბილისის 142-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი. დირექტორი **შორენა ცნობილაძე** 2011 წლიდან ჩაუდგა სათავეში ამ სკოლას, რომლის კაპიტალური შეკეთებაც, 9 წლის მანძილზე, ეტაპობრივად განხორციელდა. მონესრიგდა სველი წერტილები, დერეფნები, საკლასო ოთახები. წელს განახლებული სააქტო დარბაზით დახვდნენ მოსწავლეებს, რომელიც სკოლის გახსნის დღიდან ფუნქციონირებს და 4 ათეულ წელზე მეტია არ გარემონტებულა. სამომავლოდ, ეზოსა და შესასვლელი კიბის მონესრიგება აქვთ გეგმაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდა კადრების მიზიდვის მიზნით, საჯარო სკოლებში დასაქმებული საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, პროფესიიდან ნებაყოფლობით გასვლის შემთხვევაში ფულადი ჯილდო დააწესა. ამ სკოლიდან 12 მასწავლებელი დათანხმდა შემოთავაზებულ ჯილდოს – **ნუნუ ბაჩუკიშვილი, ნანა ჩიხრაძე, ჟუჟუნა ზამბახიძე, ნაზი ბეჟანიშვილი, მზია მჭედლიშვილი, მარინა მეტრეველი, ციალა გელაშვილი, ლიანა ტვილდიანი, ჯულიეტა სალთხუციშვილი** და **ნათელა ჩხიკვაძე.** სკოლამ გადაწყვიტა გაცილება მოუწყოს ღვაწლმოსილ პედაგოგებს და მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებას გეგმავენ.

და დაიწყო შემდგომი, ახალი კადრებით ჩანაცვლების პროცესი. დირექციამ გამოაცხადა ვაკანსია, რომელიც 2 ეტაპად ჩატარდა. კონკურსი იყო საკმაოდ დიდი: 3 დაწყებითი სწავლების, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის პედაგოგებისთვის. სკოლის ბაზაზე შეიქმნა საგნობრივი კომისია დირექტორის მოადგილის, კათედრის ხელმძღვანელებისა და წევრების მონაწილეობით. კონკურსი ჩატარდა ობიექტურად, გამჭვირვალედ და შეირჩა ღირსეული კანდიდატები უფროსი მასწავლებლის სტატუსით: დაწყებითი სწავლების მასწავლებლები: **ელენე წაქაძე, მზია ხარებაშვილი, ნინო ხვედელიძე; შორენა ხოტივრიშვილი** (ისტორია), **თინათინ ჩიტიაშვილი** (გეოგრაფია), სოფიკო ვეკუა (ბიოლოგია), **თამარ ნებიერიძე** (ქიმია), **თინათინ ოჩხიკიძე** (ინგლისური ენა). ახალი პედაგოგები კოლექტივმა კარგად მიიღო. მათ შორის თანამშრომლობა შედგა და ისინი უკვე ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში.

სკოლას ჰყავს 6 წამყვანი მასწავლებელი – **თეა ჯოლბორდი, ნანა მაჩიტაძე, ეკა ტაბატაძე, ლელა საური, ნათია გიორგაძე, ნატა დელბაშიშვილი,** რომლებმაც გასულ წელს წარმატებით გაიარეს გარე დაკვირვება; ხოლო მოლოდინის რეჟიმშია 9 პედაგოგი. წელს სტატუსი აუმაღლდა 5 მასწავლებელს – **ნინო შოვნაძეს, მაია ჩაგელიშვილს, ელენე ბასილაძეს** (დაწყებითი კლასები); **თამილა მაჭარაშვილს** (ფიზიკა) და **მაკა ფარეიშვილს** (ქართული ენა).

ახალ სასწავლო წელს კიდევ ერთი სიახლით შეხვდნენ. განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, კათედრამ განიხილა ყველა ნიუანსი და სკოლაში გოგებაშვილისეული **„დედაენა“** დაბრუნდა. აქ სულ 5 პირველი კლასია, 4 ქართული და 1 რუსული ჯგუფი. **„აი ია“** – ასე დაიწყეს ანბანის შესწავლა ახალი პედაგოგის **ნინო ხვედელიძის** პირველკლასელებმა.

საგნის სწავლების კოორდინაცია, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება თუ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რეკომენდაციების შემუშავება და წლიური გეგმის შედგენა, საგნობრივ კათედრებზე ხორციელდება. სკოლაში 7 კათედრა ფუნქციონირებს, რომლებსაც ახალ სასწავლო წელს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს: **მაია ჩაგელიშვილი** (დაწყებითი სწავლების), **თამილა მაჭარაშვილი** (საბუნებისმეტყველო), **ნინო მაჭავარიანი** (უცხო ენები), **ლელა საური** (ქართული ენა და ლიტერატურა), **იზა ტყეშელაშვილი** (სპორტი და ესთეტიკური აღზრდა), **ნატა დელბაშიშვილი** (მათემატიკა), **მანანა ზუბიაშვილი** (საზოგადოებრივი მეცნიერებები).

სკოლის წარმატების ერთ-ერთი მაჩვენებელი წარმატებული კურსდამთავრებულებია. გასულ სასწავლო წელს სკოლას 9 მედალოსანი ჰყავდა, რომლებიც პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდნენ მაღალი სახელმწიფო დაფინანსებით: **დემურ ცნობილაძე, თანანო გურგენიძე, ნინო ხუციშვილი, ნანა გელდიაშვილი, ელენე კობახიძე, გიორგი რობაქიძე, ანა რუძისი, გიორგი ბიბილური, მარია რუბაშვილი.**

წელს თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს, სამეურვეო საბჭოს ახალი თავმჯდომარეც ჰყავთ და დიდი იმედი აქვთ, რომ მშობელი **ლაშა რამიშვილი**, რომლის 2 შვილიც აქ სწავლობს, წარმატებით განახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

სკოლის მართვას, პედაგოგიურ კოლექტივთან ურთიერთთანამშრომლობას, სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას, დისციპლინისა და დაცული გარემოს შექმნას დიდი ყურადღება ექცევა, აქტიურად თანამშრომლობენ მანდატურებთან. ამ საქმეს ზედმიწევნით კარგად უძღვება დირექცია და ის გუნდი, რომელიც დირექტორის სრული ნდობით სარგებლობს: **საინფორმაციო მენეჯერი ირმა მუხიგულაშვილი,** საქმისმწარმოებელი **ნონა ოსეფაშვილი**, ბუღალტერი **რუსუდან დურიშვილი**. განახლებული დარბაზი ახალ-ახალი ღონისძიებების მოლოდინშია, რომელთა სულისჩამდგმელიც ბიბლიოთეკარი **მარინა ეზიაშვილია**.

როგორც ქალბატონი შორენა აღნიშნავს, ყოველ სასწავლო წელს სიახლეებით იწყებენ. „არ არსებობს არდადაგები, სკოლაში რამე რომ არ გაკეთდეს. თუ ყოველწლიურად კი არა, ყოველდღიურად არ განვვითარდით, არ გავიზარდეთ, თუ სიახლეები არ დავნერგეთ და მათ გვერდი აგვიარეს ან ისევ იმ დონეზე დავრჩით, ვერაფერს მივაღწევთ.“ თავად დირექტორი მუდმივ ძიებაშია. 2016 წელს ამერიკაში გაიარა პროფესიული კარიერული წინსვლის კურსი. ფილადელფიაში, ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში წარმატებით მოისმინა საუკეთესო პროფესორების პირდაპირი ლექციები, ონლაინ ჩართვები და სერთიფიკატითაც დაჯილდოვდა. ეს ყველაფერი კი ზოგადი განათლების მიზნებისა და მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საწინდარია.

მარიამ ღონღაძე

რედაქტორის მინაწერი: „სახალხო განათლება+“-ს რედაქცია გილოცავთ სწავლის დაწყებას და წარმატებებს გისურვებთ. ძალიან მოგვეწონა შემოქმედი დირექტორის შორენა ცნობილაძის ინიციატივა ღვაწლმოსილ პედაგოგთა საზეიმო გაცილების შესახებ. მოვუწოდებთ სხვა სკოლების დირექტორებს, აღადგინონ თითქმის მივიწყებული ეს დიდად ჰუმანური ტრადიცია.

მილოცვა

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებსა და თანამშრომლებს, თბილისის 83-ე საჯარო სკოლის პედაგოგებს – **ლია ჯანგულაშვილი-გელაშვილს, მარიამ ჩიბარაშვილს, შორენა ბეროშვილს, ელისო ლობჟანიძე-ბერიძიშვილს და თამარ ონიანს ვ უ ლ ო ც ა ვ თ სტატუსის ამაღლებას** და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქცია

5 ოქტომბერი მასწავლებლის ღვაწლის დაფასების დღეა – გილოცავთ!

იოსებ ნონეშვილი
მასწავლებელი

მასწავლებელი - მშობლის ალერსით
ამოქარგული ტკბილი ანბანი,
მასწავლებელი - ნორჩის თვალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი.
მასწავლებელი - დედის გულივით
მუდამ კეთილი, მუდამ ნეტარი.
მასწავლებელი - ბავშვის სურვილი:
მასწავლებელი გავხდე ნეტავი
ზოგმა სიცოცხლის შუქი მოგვფინა,
კეთილი ვეღარ სძლია ბოროტმა,
ქვეყნად ბელადიც არა ყოფილა,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა.
მასწავლებელი - ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი.
მასწავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

გიორგი ლეონიძე
„დედა ენა“

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.

ვიგონებთ და გვახარებს,
რომ აქვს გულში ჩართული, -
ჩვენი წიგნი ლამაზი,
"დედა ენა" ქართული!

ვკითხულობთ და გვახარებს,
რომ გვაქვს გულში ჩართული,
ჩვენი წიგნი ლამაზი,
"დედა ენა" ქართული!

გალაკტიონი
ჰიმნი ქართულ ანბანს

შენ, რომელიც
მარად მზეებრ გვინათ,
არა გუშინ
გაჩნდი თვალის ჩინად,
არამედ მზით
ამოენთე ბრწყინვად -
ოცდაექვსი საუკუნის წინად...

შენ სიძველის
გმოსავს ნელი ხავსი,
ქვაზე ჭრილი
ხარ ჩუქურთმის მსგავსი -
დიდის გზნებით
ასე იყავ სავსე
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...

წიგნით

უნდა ავმაღლდეთ გარეთ,
უნდა გავმაგრდეთ შიგნით,
თუ სადმე წახვალ არედ
წიგნით და მხოლოდ წიგნით.

შენიშვნა: იოსებ ნონეშვილის „მასწავლებელი“, რომელიც პოეტმა თავის პედაგოგს ვარო ვარდიაშვილს უძღვნა, პირველად „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნდა 1960 წელს.

115-ე ბაგა-ბაღმა ბრწყინვალედ დაიწყო

ცეროდენების სავანე უფრო ზღაპრული გამხდარა



115-ე ბაგა-ბაღმა ბრწყინვალედ დაიწყო.

ცეროდენების სავანე უფრო ზღაპრული გამხდარა.

„115-ე საბავშვო ბაგა-ბაღი პატარებისთვის ის ზღაპრული სამყაროა, სადაც ყოველი დილა ჯადოსნურად, ტკბილად და თბილად იწყება.ბავშვებს ბაღში მისვლა რომ უხარიათ და საიმედო ხელში არიან, მშობლებიც უსაზღვროდ ბედნიერები ვართ“ - ეს გახლავთ ამონარიდი ერთ-ერთი სამადლობელი ბარათიდან, რომელიცმშობელთა კომენტარების წიგნში ინახება. ასეთი ბარათი კი უამრავია...

„პატარების მყუდრო სავანე“ - ასე უწოდებენ 115-ე საბავშვო ბაგა-ბაღს, რომელიც თითოეული აღსაზრდელისთვის საოცნებო სამყაროა. იგი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. დედაქალაქის ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით და მისი ხელმძღვანელის ხელშეწყობით ეს საბავშვო დაწესებულება კიდევ უფრო დამშვენდა და ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდა. ბაღის შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, გარემონტდა გარე ფასადი, საბავშვო ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო, სასადილო, საძინებელი და ა. შ. ასევე, გაკეთდა ახალი რესურს ოთახი, შმმ აღსაზრდელებისთვის შეიქმნა ადაპტირებული, კეთილმოწყობილი გარემო.. ეზო მოწესრიგებულია და აღჭურვილია პანდუსით, თანამედროვე ფანჩატურებითა თუ საქანელებით, მაგრამ სამომავლოდ დაგეგმილია სრული განახლება და 2024 წლისთვის ბაღი ავტორიზაციისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

ბაგა-ბაღის დირექტორი **მერი ჭარელიშვილი** დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ფასდაუდებელია მისი ღვაწლი სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. იგი, უკვე 43 წელიწადია ამ სფეროშია და 32 წელია ხელმძღვანელის პოზიცია უკავია. 115-ე ბაგა-ბაღის დაარსების ისტორიაც ამ შესანიშნავი ქალბატონის სახელს უკავშირდება. მრავალი თაობის აღმზრდელს კარგიც ბევრი უნახავს და უსამართლო გულისწყრომაც უგემია... თუმცა, ბავშვების სიყვარულმა და მადლიერი აღზრდილების გულითადმა დამოკიდებულებამ ყველა სიძნელე გადაატანინა და კვლავინდებურად შემართებით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას. არის შესანიშნავი დედა და ბებია. საინტერესოა **მერი ჭარელიშვილის** ცხოვრების ისტორიაც, რომელსაც ჩვენ სხვა საგაზეთო პუბლიკაციაში უფრო ვრცლად შევეხებით, ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ღვაწლმოსილი ქალბატონის მეუღლის - **ამბერკ ჭარელიშვილის** ინიციატივით, 1990-92

2წლებში, დაბა ტაბახმელას ტერიტორიაზე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი აშენდა. აღსანიშნავია, რომ ეკლესია აიგო თამარ მეფის ტაძრის ნანგრევებზე - საქართველოს პატრიარქის ლოცვა კურთხევით, ასევე, მამა **ბესარიონ მენაბდის** და ქტიტორის **გია ცხადაიას** დახმარებით. ახლად აგებულ ეკლესიაში, პირველებმა სწორედ, ქლბატონმა მერიმ და მისმა მეუღლემ დაიწერეს ჯვარი.

115-ე ბაგა-ბაღში, რაც კი რამ სასიკეთო გაკეთდა, სწორედ **მერი ჭარელიშვილის** დამსახურებაა.. ამიტომაც იგი, დიდ შექებას და ჯილდოს იმსახურებს. ბაღი უსაფრთხოა. აქ ზედმიწევნით იცავენ ბავშვთა უფლებებსა და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს. დირექტორს ყველა მნიშვნელოვან საკითხში მხარში უდგას მისი მოადგილე **მაია ზედგინიძე,** რომელიც თავისი საქმის კარგი პროფესიონალია.

სააღმზრდელო პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს, არის სიახლეები და სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება. ბაღში სულ 17 ჯგუფი და 756 აღსაზრდელია, ხოლო **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას 240 ბავშვი ეუფლება. პროფესიონალი აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ მრავალმხრივად განვითარებულ პატარებს ზრდიან, პირველ რიგში, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიან. ბაღში ტარდება სხვადასხვა აქტივობები, ღია მეცადინეობები, ზეიმები და შემოქმედებითი ღონისძიებები.

მერი ჭარელიშვილი: საგულისხმოა, რომ NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის ჯგუფის სახელით, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით შეირჩა ჩვენი ბაგა-ბაღი, სადაც სამხედრო მოსამსახურის შვილები დასაჩუქრდნენ სათამაშო ინვენტარით. ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა სანიტარული ნორმების დაცვას და კვებას. ბაღს ხარისხიანი პროდუქტებით ამარაგებს **„ეკოლუქსი“.** ბაღის ეზო ამ ეტაპზე, დამაკმაყოფილებელია, თუმცა, ჩასმულია კეთილმოწყობის გეგმაში, სადაც გათვალისწინებულია ახალი ატრაქციონების, მოსასვენებელი სკამების და სპორტული მოედნების განახლება. თქვენი გაზეთის საშუალებით თანადგომისთვის, მადლობას ვუცხადებ ბაგა-ბაღების სააგენტოს მთელ კოლექტივს და ბატონ **კახაბერ გვანცელაძეს,** ასევე, სამგორის რაიონის გამგებელს **კახა სამხარაძეს,** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს **კუკური**

როჭიკაშვილს, საკრებულოს წევრს **გიორგი დოხტურიშვილს**, სწორედ, ამ ადამიანების დამსახურებაა, ის რომ ბაღი კიდევ უფრო დამშვენდა, დასუფთავდა, შეიცვალა ურნები და დაემატა მწვანე ნარგავები. ბაღი მუშაობს გაწერილი წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, რომლის საბოლოო ანგარიშს სააგენტოსა და მშობლებს ვაბარებთ. ასევე, წლის დასაწყისში სააგენტოს დახმარებით იგეგმება ბაღის მთლიანი ბიუჯეტი, თითოეული დეტალი ზუსტად არის გაწერილი და **ინვოისის** ხელშეკრულებით, ხარჯთაღრიცხვის მოძიებით მიმდინარეობს ყოველთვიური თანხის ხარჯვა. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს და თანამედროვე სტანდარტებით მუშაობენ აღსაზრდელებთან.

115-ე ბაგა-ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, ტექნიკური საშუალებებით,

→ გაგრძელება მე-7 გვ.

მეექვსე გვერდიდან

ცეროდენების სავანე უფრო ზღაპრული გამხდარა

ლიტერატურით და სათამაშოებით. ბაღში საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **ნინო ხოსიტაშვილის** ხელმძღვანელობით, შესანიშნავად მიმდინარეობს ყოველდღიური აქტივობები, სადაც ჩართული არიან მულტიდისციპლინარული ჯგუფის აღმზრდელები, ფსიქოლოგი **ლია ხიდეშელი,** ლოგოპედი **ეკატერინე შიხიაშვილი,** სპეც. პედაგოგები **სოფიო სიყმაშვილი** და **ლია გარსევანიშვილი,** თვალსაჩინოა მათი შრომის შედეგი და მშობლების კმაყოფილებას გამოხატავენ. პატარების ჯანმრთელობის კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს. თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად უძღვებიან სან. ჰიგიენის კოორდინატორები **დოდო კვირაია** და **ნათელა მთავარაშვილი.** დიდ შექებას იმსახურებენ საქმის მწარმოებლები: **მანია კედელაშვილი** და **ლალი მაღლაფერიძე,** სამეურ-

ნეო ნაწილის კოორდინატორები **ეკატერინე ნოზაძე** და მისი დამხმარე **მაია ლაშხი.**

დირექტორი ამაყობს ბაღის თანამშრომლებით და მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების თავდადებულ შრომას. ესენია: **ირმა სიორდია, მაია მშვენიერიძე, ნაირა ეჯიბაძე, ნინო მირიანაშვილი,ნონა ბეგოიძე,მაია გამეზარდაშვილი, თამილა ლომჯარია,ნანი ყიფშიძე, მარინა შანიძე, ლიანა გურულიშვილი, თამარ ღაღანიძე, ბელა გალუსტოვა, ლამარა ქუფარაშვილი, ლია ბობოხიძე, ირინა ჩიხლაძე,იზა პავლიაშვილი,შორენა მესხიშვილი, აზა გაზდელიანი, მაგული ტაბატაძე, თამარ მარხვაშვილი** და **სოფიო ბურძენიძე.** აქვე აღსანიშნავია აღმზრდელის თანაშემწეების საქმიანობა, ესენია: **ნატალია**



საბაშვილი, მარინა თხელიძე, ნანა პატიაშვილი, ნინო ბუხნიკაშვილი, მაია ვეშაპური, იზა ღურწკაია, ლია ჩიბურდანიძე, ლალი მუმლაძე, შორენა ჩომახაშვილი, ნინო აფციაური, მედეია მაჩიტაძე, მაკა წიქარიშვილი, თეა ყარყარაშვილი, ცისანა ხუტაშვილი, ნონა გოგია, თამილა ლორია, სოფიკო ხევიაშვილი, ქეთევან ბოგვერაძე, ლიანა ქარქაშაძე, ეკატერინე დილიბაშვილი, ვარდო ობრაგიმოვი, თამრიკო გორგაძე, ნათია ჯინჭარაძე.

შემოქმედებითი პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს და ამ საკითხში დიდი წვლილი მიუძღვით ხელოვან ადამიანებს: ცეკვის პედაგოგს **კახაბერ ბარბაქაძეს,** მუსიკის მასწსავლებლებს **თინათინ ბუცხრიკიძეს** და **ნინო ალენიკოვს.**

ბაგა-ბაღში აღსაზრდელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა და მათ მაღალკალორიულ საკვებს უმზადებენ მზარეული **ლოლა გურგენიძე** და მისი დამხმარეები: **მზევინარ მოისწრაფეშვილი, დოდო ვაჭრიშვილი და ხათუნა დათაშვილი, ციცო რთველაძე.** ბაღის ადმინისტრაცია კმაყოფილია ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომით. ესენი გახლავთ: **რუსუდან ბერია, დალი წითლაური, მადონა ჯღარკავა, მზია ხუროშვილი, ინგა ქართველიშვილი , დალილა თურქიშვილი, ქრისტინა მაჭარაშვილი, ხათუნა ჭიკაიძე, სოფიო გოცირიძე , მზია ნადირაძე, ირმა გელაშვილი, ვაჟა ბასილაშვილი, მორის როსტიაშვილი, ელგუჯა ღონღაძე** და **ზაურ ალთუნიშვილი.**

115-ე ბაგა-ბაღი სანიმუშოა უსაფრთხოების თვალსაზრისით

და აღსაზრდელებისადმი განსაკუთრებული ფაქიზი დამოკიდებულებით. ძალიან ემოციური ის სამადლობელი ბარათებია, რომელიც მშობელთა კომენტარების წიგნში ინახება. გაგაცნობთ რამდენიმე ამონარიდს:

„კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემი შვილი საიმედო, ყურადღებიან გარემოში ატარებს დღის უმეტეს ნაწილს... უსაფრთხოდ არის, სწავლობს, ურთიერთობს, არ შია და არ სცივა... ჰიგიენის ნორმები ზედმიწევნით დაცულია. დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის!“

ნინო სიბაშვილი:

„დიდი მადლობა და უდიდესი პატივისცემა 115-ე ბაღის დირექტორს ქალბატონ **მერი ჭარელიშვილს** ასეთი უდიდესი შრომისთვის და პატარებისადმი დედობრივი მზრუნველობისთვის, რომელიც ყოველდღიურად ალამაზებს აღსაზრდელების ცხოვრებას, უქმნის მათ სასიამოვნო გარემოს და დაუვიწყარს ხდის ბაღში გატარებულ დღეებს. სწორედ , მისი დამსახურებაა, რომ ჩემი შვილისთვის აქ გატარებული დღე სასიამოვნო სიახლეებითაა დატვირთული!“

ლიკა კვეზერელი:

„ბაღის მთლიან შემადგენლობას დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს შვილებზე ზრუნვისთვის. ისინი მართლა საიმედო ხელში არიან და ჩვენც უსაზღვროდ კმაყოფილები ვართ. პედაგოგების ერთობლივი, გუნდური მუშაობა დადებითად აისახება პატარების აღზრდაზე. მადლობა ასეთი გულისხმიერებისთვის!“

მისი კოლექტივის წევრები ქალბატონ **მერი ჭარელიშვილს** ასე ახასიათებენ - „ვინ არის ის?“

ქალბატონი, რომელიც შემკობილია ყველა იმ სიდიადით, რომელსაც ატარებენ ის გმირი ქალბატონები,რომელთათვისაც პირველი ოჯახი და მათი შთამომავლობაა. ისაა მედგარი და ბურჯი ქალბატონი,თავისი კერიის დედაბოძი, ერთგული მეუღლე, უსაყვარლესი დედა და სამი ვაჟკაცის ტკბილი ბებია. გამტანი მეგობარი,თავისი საქმის უბადლო მცოდნე,წამყვანი მენეჯერი, რომელიც აგერ უკვე ათეული წელია სათავეში უდგას ბაგა-ბაღის კოლექტივსა და ჩვენს მრავალრიცხოვან აღსაზრდელებს.

ეს ის ქალბატონია, რომლისგანაც უნდა ისწავლოთ თავმდაბლობა, ერთგულება, ყურადღება, მოთმინება, თანადგომა,სიყვარული. ეს ლიტონი სიტყვები არაა და თუ გადამეტებად არ ჩამითვლით მას დავარქვით **„მწყემსი კეთილი“,** რომელიც ასე გვამხნევებს და გვაერთიანებს ერთი საქმის გარშემო,რომელსაც ჰქვია **„ბაგა-ბაღი და ჩვენი აღსაზრდელები“.**

მადლობა მას ამხელა სითბოსთვის და სიყვარულისთვის, მადლობა განგებას, რომ ჩვენ გვხვდა წილად და გვაქვს შესაძლებლობა ვიმუშაოთ მის მხარდამხარ.

***

უაღრესად ემოციური იყო თითოეული წერილის გაცნობა და ასევე, ძალიან შთამბეჭდავი იყო ბაღის დირექტორთან **მერი ჭარელიშვილთან** ინტერვიუ, რომელიც გატაცებით საუბრობს ბაღის მიღწევებზე, გაკეთებულ საქმეებზე და აღსაზრდელებზე, რომლებიც საკუთარი შვილებივით უყვარს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პატარებს აქ გატარებული წლები სასიამოვნო მოგონებად გაჰყვეთ და სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

მზია გოგოძე

ყველაფერი შარშანდელზე უკეთ არის

მაღალი მოთხოვნადობის ბაგა-ბაღი



სკოლამდელი განათლების სისტემაში, უკანასკნელ წლებში, ბევრი ახალი ხედვა და გამოწვევა დაინერგა, რაც ბავშვის სწორად განვითარებისათვის საჭირო გარემოს ქმნის. განათლებისა და შეფასების პროგრამა, მეტყველებისა და კომუნიკაციების უნარების ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა და ზოგადად, ის სივრცე, სადაც ბავშვებს მიუხარიათ და მშობლებიც გულდამშვიდებულები არიან, 113-ე ბაგა-ბაღია. სულ რაღაც მესამე წელია, რაც ურეკის ქუჩაზე თანამედროვე სტანდარტების, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის ბაგა-ბაღის ახალი შენობა გაიხსნა, სადაც 10 ჯგუფში 481 აღსაზრდელია. დირექტორ **ნინო ჭელიძის** დაუღალავი შრომის შედეგი სახეზეა. მოწესრიგებული ფიზიკური გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარე განაპირობებს ამ ბაღის მაღალ მოთხოვნადობასა და მიმღებლობას.

ადრეულ ასაკში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში პატარებისთვის სრულფასოვანი

გარემოსა და პირობების შექმნაა საჭირო. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ბავშვის ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, იყოს მზაობა, ნებაყოფლობით ჩაერთოს სასწავლო აქტივობებში, ინერგება სიახლეები, მუშავდება ახალი პროგრამები, უდიდესი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას. ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინარული ჯგუფი:

დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **ჯუნა ფოლადიშვილი, ნინო კოპაძე,** ფსიქოლოგი **ნინო სულხანიშვილი, ლოგოპედი ინგა თოდუა,** სპეც. პედაგოგები – **თამარ პირველი, ხათუნა კერვალიშვილი** და **ელისო შეყლაშვილი** – ერთად ზრუნავენ აღსაზრდელთა

ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, თანამედროვე მიდგომებისა და გამოწვევების სწორად წარმართვაზე.

აქ ნიჭიერი, შრომისმოყვარე აღმზრდელ-პედაგოგები, შემოქმედებითი თუ ტექნიკური პერსონალი მოღვაწეობს. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, საუკეთესოდ წარმართავენ აღმზრდელები: **სალომე წიკლაური, მანანა ლიპარიშვილი, ლალი ასპანაძე, ქეთევან კობაური, ირინე ქობალია, ირმა კოსტავა, ფერიდე ესაძე, შორენა ქარქაშაძე, თამთა დევიძე, ლია გეჯაძე, ხათუნა გვალია, ირმა ბასილაია, თამილა ნოზაძე, ელისაბედ ზაქარიაძე, ნინო სვანიძე, თამარ ლავრელაშვილი, ელისო შუბითიძე, შორენა მარგალიტაძე.**

ბი **ელისო შუბითიძე, ფერიდე ესაძე.** აღმზრდელის თანაშემწეები: **დიანა თიღილაური** და **მარინა ჯაღუმიძე. „ციყვები“** – აღმზრდელები: **ირმა ბასილაია, ქეთი კობაური.** აღმზრდელის თანაშემწეები **სოფო ბარბაქაძე** და **თეა მტირალაშვილი.** ისინი განიხილავენ და ამზადებენ სხვადასხვა თემას.

ადმინისტრაციულ თუ სხვა ტექნიკურ საკითხებს, თანამშრომელთა მუშაობის ხარისხს, სამეურნეო და ტექნიკური პერსონალის შემოწმებას, დოკუმენტაციის მომზადებას, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ: დირექტორის მოადგილე **ქეთევან გულიაშვილი,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **თამარ აბაშიძე,** საქმისმწარმოებელი **ნინო მენაბდე,** ბუღალტერი **მარინა ბერიძე,** ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორები – **ნანა ჯინჭარაძე** და **ირმა ასანიძე.**

დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი. ჩატარებულ სამუშაოებსა და მიღწეულ შედეგებში თავისი წვლილი შეაქვს ტექნიკურ პერსონალს. ისინი ზრუნავენ ჰიგიენასა და სისუფთავეზე, ეზო-გარემოს მოვლასა და პატრონობაზე – **ლამარა მღებრიშვილი, მაია ყურაშვილი, მარინა სიჭინავა, მადონა გურგენიძე, ირინა არეფიევა, მარინე ადუაშვილი, ეთერ ნაბიჯაშვილი, მეგი გეგეშიძე, ნანა ლიპარიშვილი, ხათუნა თათარაშვილი, ჟანა თავშავაძე, ლამარა ხიდეშელი, იდაიად გუსეინოვი, მალხაზ ლომსაძე, ანზორ კაკუბავა, მიტუშა მაჭარაშვილი, ლამარა გუსეინოვა.**

უკანასკნელ წლებში საბავშო ბაგა-ბაღების კვების რაციონი საკმაოდ გაუმჯობესდა, დაცულია კალორაჟი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. მშობლებს ყოველდრიურად შეუძლიათ გაეცნონ დღის რაციონს, რომელსაც მზარეულები – **ლალი კოჩივარი, ლენა ბურაშვილი, მარინე კბილაშვილი, მარინე ხიზანიშვილი** – პატარებს სთავაზობენ.

ბაგა-ბაღი ჩართულია ეფექტიან სააღმზრდელო პროექტში

და ძირითადი აქცენტი სწორედ ამ პროგრამისა და ინკლუზიური განათლების სწორად წარმართვაზე კეთდება.

ნათია გურგენიძე

იურიდიული კომპანია

„ლეგალ ცენტრის“ წარმატების საიდუმლო

იურიდიული კომპანია **„ლეგალ ცენტრი“** საქართველოში უკვე 14 წელიწადია წარმატებით ფუნქციონირებს . თავდაპირველად, იგი დაფუძნდა როგორც საადვოკატო ბიურო, თუმცა, მოგვიანებით მისი საქმიანობის არეალი გაფართოვდა და მცირე რებრედინგის შემდეგ შეურჩიეს სახელწოდება „ლეგალ ცენტრი“. კომპანიის მიზანია - მაღალი კონკურენტული გარემოს შექმნა და უმაღლესი ხარისხის სამართლებრივი მომსახურების გაწევა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის. აქ იურიდიული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ქართულ, ასევე თურქულ და ინგლისურ ენებზე. კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: სამოქალაქო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, სახელშეკრულებო სამართალი, ადმინისტრაციული, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, ბიზნესსამართალი, საბანკო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია და სხვ.

„ლეგალ ცენტრი“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელია მაღალკვალიფიციური იურისტი **ნატო ხელაძე.** კომპანია დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, ესენია: **გვანცა ქურხული, ნინო ციციშვილი** და **ელენე რუხაძე,** რომლებიც არიან კომპეტენტური სამართალმცოდნეები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. აქაური მესვეურები ორიენტირებულნი არიან ხარისხიან სამართლებრივ სერვისებსა და კლიენტის ინტერესების დაცვაზე. აქვე უნდა აღინიშნოს **ქალბატონი ნატო ხელაძის** მრავალწლიანი გამოცდილება და მისი დამსახურება იურისპრუდენციაში. იგი გახლდათ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თანამშრომელი და მონაწილეობდა რამდენიმე კანონპროექტის შემუშავებაში.

ნატო ხელაძე: საგულიხმოა, რომ ,,ლეგალ ცენტრი'' ასევე, თანამშრომლობს უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთანაც და სამართლებრივ მომსახურებას უწევს ქართველ ემიგრანტებს. მაგალითად, **იტალიაში, საბერძნეთში** და **თურქეთში,** რომლებიც ჯერ ვერ ახერხებენ ჩამოსვლას და აუცილებელი სამართლებრივი პრობლემები აქვთ გადასაჭრელი. ამჟამად, კომპანიის ერთ-ერთი კლიენტია, აფრიკაში საერთაშორისო მისიით მყოფი პიროვნება, რომელიც უკვე მესამედ სარგებლობს **„ლეგალ ცენტრის“** მომსახურებით.

აღსანიშნავია, რომ **„ლეგალ ცენტრის“** მაღალკვალიფიციური პერსონალი, მათი პროფესიული დამოკიდებულება და მრავალწლიანი გამოცდილება, ნამდვილად ქმნის კლიენტებისთვის საიმედო და საუკეთესო გარემოს, რაც კომპანიის წარმატების აუცილებელი პირობაა. ასე რომ, თუ გჭირდებათ იურიდიული დახმარება, ენდეთ **„ლეგალ ცენტრს“.** კომპანია გთავაზობთ ხარისხიან და საფუძვლიან კონსულტაციებს, კვალიფიციურ ხელშეკრულებებს, სარჩელებს, საჩივრებს. კომპანიას ჰყავს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში. ასევე, ქმნიან კორპორატიულ სერვისს მეწარმეებისთვის.

„ლეგალ ცენტრი“ არ გპირდებათ ზედმეტს, გთავაზობთ გონივრულ ვადებს და მისაღებ ფასებს. პროფესიონალები კი, დაიცავენ თქვენს უფლებებს, თქვენს ბიზნესს, თქვენს საკუთრებას! კვალიფიციური იურისტების სამართლებრივი მხარდაჭერა კი, თქვენი საქმიანობის და ცხოვრების წარმატების გარანტი იქნება.

„ლეგალ ცენტრის“ საკონტაქტო ტელეფონია: 577 62 44 55

მთავარი მისია -კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების წრთობა

დიდი გეგმები და მოტივაცია

თბილისის მე-2 საჯარო სკოლა კარგად მომზდებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. იგი გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებით და სწავლის ხარისხის მაღალი დონით. სკოლას სათავეში უდგას გამოცდილი ხელმძღვანელი **გალაქტიონ (გაგა) მინდიაშვილი.** იგი, უკვე მრავალი წელიწადია დირექტორია და ამ ხნის მანძილზე, სკოლაში ბევრი პრობლემა მოაგვარა, მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, განახორციელა არაერთი პროექტი და დაამყარა წესრიგი. ბატონი გალაქტიონი პროფესიით იურისტია და იგი სკოლის დირექტორად, სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად დაინიშნა. არის კარგი მენეჯერი და შესანიშნავი პედაგოგი.

აღსანიშნავია, რომ მე-2 საჯაროს მოსწავლეებისთვის გარემო უსაფრთხოა და არ შეიმჩნევა მოზარდთა ძალადობის ფაქტები. სკოლაში, მუდამ შემოქმედებითი ატმოსფეროა. აქაური მესვეურები, ყველა სასწავლო წელს განსაკუთრებით მომზადებული ხვდებიან. ნაყოფიერი იყო გასული წელიც. სკოლას 5 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა. საამაყო ფაქტია, რომ ექვსივე მოსწავლე 100% გრანტით ჩაირიცხა წამყვან უნივერსიტეტებში.

სკოლის დირექტორს მხარში უდგას მისი მოადგილე **თეონა არველაძე,** რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია და კარგად იცნობს სასკოლო ცხოვრებას. სკოლაში 40 პედაგოგიდან 4 წამყვანი მასწავლებელია, ხოლო 35 უფროსი მასწავლებელი, 1 მენტორია. წლეულს, სკოლაში გაიხსნა 3 პირველი კლასი და მოსწავლეებმა საჩუქრად მიიღეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ მე-7 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილების მიხედვით, სასწავლო პროგრამას დაემატა საგანი - მოქალაქეობა. მისასალმებელია პედაგოგთა, ადმინისტრაციის და ტექპერსონალის ხელფასების ზრდა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა და მას ეფექტურად უძღვებიან გამოცდილი პედაგოგები. სკოლის ერთერთი პრიორიტეტია — მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. აქ ხშირად იმართება ღონისძიებები და ასევე, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოვებულები დაბრუნდნენ.

სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის წრე **„ორნატი“,** ხელმძღვანელია **ვაჟა კოტრიკაძე.** ასვე არის მუსიკის წრე ხელმძღვანელი **ლალი მიქელაძე.** სკოლაში აქტიურად მოღვაწეობს სპორტული კლუბი **„ლიდერი“ გიორგია არჩაიას** ხელმძღვანელობით.

საგულისხმოა, რომ მე-2 სკოლაში განათლებასთან ერთად, მოსწავლეების ჯანსაღ ცხოვრებაზეც ზრუნავენ. სკოლა, აქტიურად მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებში. ერთი სიტყვით, სკოლას ყველანაირი პირობა და რესურსი აქვს იმისთვის, რომ, იყოს ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რაც უთუოდ დირექტორის **გალაქტიონ მინდიაშვილის** დიდი დამსახურებაა.

სასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აქ ყველა პედაგოგი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. სკოლას აქვს დიდი სამომავლო გეგმები და მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

ანანო სამელია

ქალთამზე ჯინჯოლავა

ქალთამზე ჯინჯოლავა პროფესიით ექიმია, დაიბადა ზუგდიდის ულამაზეს სოფელ ჭკადუაშში ხელოვანთა ოჯახში... უყვარს პოეზია, შემოქმედებითი ნიჭი გენეტიკურად გამოჰყვა, წერდა მამა, ძმა – ბერდია ჯინჯოლავა სამი პოეტური კრებულის ავტორია... მიუხედავად იმისა, რომ ექიმია და დატვირთული გრაფიკი აქვს, მუზას ვერ გაექცა... ამბობს, რომ ბევრჯერ ნაუყრუა შემოქმედებით ნიჭს, მაგრამ ვერაფერი გაანყო მასთან... ნელ-ნელა მუზის ნაყოფმა სულის გავლით ფურცლებზე გადაინაცვლა, ფურცლებიდან სამეგობრო წრეში ...

დღეს ჩვენს გაზეთში მისი ლექსების დებიუტია...

***

ძმა მყავს აფხაზი,
რჯულით ერთნი ვართ,
კუთხით სხვა ხაზი.
მე დაც მყავს ოსი,
შინდისის გმირებს
დასტირის დღესაც,
არ გაუხდია
ძაძის სამოსი.
ორი იარა მატყვია გულზე,
თვალღია სიზმრებს
ვხედავ მის მერე,
მტრის სისხლი მინდა
შევსვა ფიალით,
ვერ დავიძინე,
ვერ მოვისვენე.

***

მომინახულე გაზაფხულო, მომინახულე,
ცრემლის ლოლუებს ჩამოადნობ ცოტათი მაინც,
ველარ გავუძლებ ამ სიცივის სულში ნაბიჯებს
და გამახსენებს გასული წლის იებს და აპრილს.
იქნებ, გავიგო იმ მერცხლების ფრთების ფართხალი,
ჩემს აივანზე რომ დატოვეს ბუდე პაწია,
კიბეზე ვზივარ, გელოდებით სულმოუთქმელად
და ქარის მიერ მოქსოვილი კაბა მაცვია.

***

ვერა, ვერ ვირგებ მოსისინე გველის ცივ პერანგს,
ვერც მონაზონის შავი კაბა მოვარგე ჩემს სულს,
მინდა ხელახლა მოვევლინო მე ამ სამყაროს,
ღამე მშობს ალბათ, განთიადთან ჭიდილში შესულს.

***

მაცვია ვიღაცის ნაცვალი სამოსი,
ასაკით ოცის ვარ და გულით სამოცის.
დარდი მკლავს ვიღაცის შიმშილის წყურვილის,
ლუკმა რომ გავუყო ბევრჯერ მაქვს სურვილიც.
ბევრჯერ მაქვს სურვილი გავუყო სახლ-კარიც,
რადგანაც თბილია კერაც და საყდარიც.

***

ხელის ცეცებით ვეძებ მზის სხივებს,
ვინღა გაქურდავს ახლა ჩემს გრძნობას,
ცოდვებს ცოდვებზე ვამატებთ დღითიდღე,
ვდგევართ და მაინც ღმერთს ვთხოვთ შენდობას.
აღარ მასვენებს ამწუთას ფიქრი,
რომელიც გრძნობებს მთლიანად შთანთქავს...
და მეტკინება ვიცი ეს გული,
დროება ცუდად თუ ამოშანთავს.
დღეს ყველა მალავს თავიანთ სახეს,
ჯოჯოხეთია ვხედავ ურიგო,
ბევრი იუდას როლსაც მოირგებს,
თითო მონეტა რომ დაურიგო.

***

ტანი ლერწამი,
თმები გიშერი,
გელოდებოდი
ღამე შიშველი.
ჟღალი თვალები,
ნაზი თითები,
სულში ქარი და
გარეთ წვიმები.
კოცნა ნაკლები,
ალერსი მეტი,
და მკერდზე მედო,
ტრფობა,ზედმეტი.

***

სანამ ხეები ქარის გამო ტოტებს გაშლიდეს,
და წვიმებისგან იქმნებოდეს სულში ცუნამი,
უღრან ტყის პირას ჩამოვჯდები მიუსაფარი,
იქ დავდებ ბინას უკანასკნელ ამოსუნთქვამდი.
დააყრუებდა სიმყუდროვეს მგლების ყმუილი,
მე ის მაგონებს უხმო ძახილს სულის ტკენისას,
გულის ფარცქალი ვაიგივე მე იმ მერცხლების
ფრთების ტლაშუნი ზამთრის პირას გადაფრენისას.

***

ახლა ჩემს გულში უღრანი ტყეა,
იქ იდებს ბინას ბულბულიც, მხეციც,
როგორც ნაკრძალი არვინ ნადირობს
და მეც ბილიკის კაფვას შევეშვი.
ასე გახშირდა დარდის ეკლები
და შემოისხა გრძნობებმა სურო,
აქ ქარი იცის და ღამე ცივა,
გთხოვ, არ გაცივდე შენ ჩემო სულო...

***

მე აღარ მინდა ისეთი ღამე,
ღამე წყნარი და თანაც უმთვარო,
მე აღარ მინდა თვეებს დღეები,
უშენობით რომ გადავუთვალო.
მე აღარ მინდა ის გულისცემა,
იმ ტკივილმა რომ სასტიკად სცემა,
მე აღარ მინდა, ეს მძიმე სუნთქვა,
სევდა უსაზღვროდ რომ ჩაისუნთქა.
და ჩემი ლეშიც მივუგდე ტანჯვას,
და ახლა ღრღნიან მას აფთარივით,
ლექსების კრებულს გიტოვებ კარგო,
რომ გაგახსენდეს ძველ დავთარივით.

***

როგორც წყურვილისას წვეთი წყალი,
როგორც შიმშილისას ლუკმა პური,
ღმერთმა სიყვარული თუ გიბოძა,
არა, ნუ იქნები უმადური,
გულში საძირკველი ჩაუყარე,
გრძნობის ცათამბჯენი აუშენე,
და თუ ვერ შეძელი ჩემო კარგო,
აღარ მიაძახო: - აუუ შენ ეეეე...

***

წვიმის წვეთებად ჩამოვედი მტვრიან ქუჩებზე,
თოვლის ფიფქივით ჩამოვსულვარ ალბათ მცირე ხნით,
არ ვარ ამქვეყნად სასწაული რამის მთხოვნელი,
კმაყოფილი ვარ მე უფლისგან, თუნდაც მცირედით.
გთხოვ მომიტევოთ! თუ კი ვინმეს რამე შეგცოდეთ
და თუ მოყვარე გადამექცა მოშურნე ბედთან,
მაგრამ ვაი, თუ დავარღვიო კვლავ ათი მცნება,
რადგან სისინებს გველი ალბათ ადამის ნეკნთან.

***

შენ საამაყოვ, ერო და რწმენავ!
დედაო ენავ!
სისხლო და გვარო!
არასდროს არ მსურს გადაგაგვარო.
ჩემო სოფელო,
პაპას გუთანო,
რამდენი წლები გადავუთვალო.
საწნახელო!
მარანო,ფაცხავ,
ჩემო აკვანო
პაწია რაცხავ.
თბილო ჯარგვალო,
გვერდით მსხლის ჩერო,
როგორ მსურს ახლა
დრო შევაჩერო.

***

ღვთის მშობელო გევერდრები!
არ მსურს ლოცვა შევურაცხვყო,
დამილოცე საქართველო!
მისი წარსული და აწმყო.
მუხლმოდრეკით გევედრები!
დამილოცე გთხოვ ის მიწა,
რომლის ზურგზე ვთამაშობდი,
მერე მტერმა რომ წამგლიჯა.

***

შემოგვახიეს საქართველო,
ვით სამოსელი,
ჩემი სამშობლო მტაცებლების
გახდა ბოსელი.

***

ცუდი რა არის მითხარით ამაში?
ლამაზი რომ ვიყო ძველ ჩითის კაბაში
და ძროხას ვწველიდე
ბებოს ძველ თავლაში,
თან ვაცხო მჭადი და
თონეში ლავაში.
მეხუროს ლამაზი
კოლხური მანდილი
და მყავდეს მიჯნური,
როგორც მთის არწივი,
შვილები ხითხითა,
აკვანში გაზრდილი.

***

დეე!

დაჭმუჭნილ კანს,
დაღლილ მაჯას,
ვერ ვაფასებ
მე შენს გარჯას
და წარსულის
იარები,
სულში გტკივა,
გულში გხანჯლავს.
თითქოს ვიყოთ
პატარები,
დაჩურჩულებ ფიქრებს,
ეჭვებს,
ვეფერები შენს
ჭაღარას და
შრომისგან მოხრილ
ბეჭებს.
როცა გხედავ სულ
გიცინი,
არ იფიქრო სიბერეზე,
ჩვენც ხომ ერთ დროს
ვიცრიცებით ,
ვით ფოთოლი ერთ დიდ
ხეზე.

***

ხორბლისფერ ძუძუებს,
ქერა დალალებს,
ცეცხლოვან ვნებას
რომ გიალალებს.
ტუჩებს ალისფერს,
თეძოს ალაგებს,
გულში სიყვარულს
რომ ჩაალაგებს.

***

ღამევ! არ გამცე წაწლობით,
ღამევ ცივო და ცა შავო,
ღამისღამ მთვარის საბანი,
ბუხართან უნდა გავშალო...
და ორთავ სხეულს ერთიანს,
გვნათობდეს ცეცხლის ალიო,
ვნებით ნაკოცნარ სხეულზე,
დამეტყოს კოცნის კვალიო.

***

გადმოვა ახლა სხეულიდან ყველა სისხლძარღვი,
ჩახერგავს გრძნობებს რასაც გულამდე უწინ უვლია,
ყველა ღრუბელი, რაც ზეცაზე გუშინ შევნიშნე,
დღეს არსად ჩანან, გამქრალან და გადაუვლიათ.
ჩამქრალ ნათურას მაგონებდა ყოველი ღამე,
მთების ნაწური ნისლებიდან წყალს ვსვამდი პეშვით,
ყველამ ჩვენს გულში დავითვალეთ ცოდვების გროვა,
მოვინანიეთ, მაგრამ მაინც აღარ შევეშვით.

ნასახლარი

(ჩანახატი)

სოფლად, ჩემი სახლის მახლობლად, იდგა უძველესი, მეგრული სულით გალამაზებული ოდა. დრო და ჟამმა შეარყია მისი სილამაზე, იქ არავინ ცხოვრობდა... კარგა ხნის ჩამქრალი და გაციებული იყო ერთ დროს მოგიზგიზე ბუხარი. ოდას გვერდით თითქმის იმავე ასაკის უზარმაზარი მსხლის ხე იდგა, მისი მძლავრი ტოტები ისე გადაჰყურებდა პატარა ხის სახლს თითქოს, მზის სხივებსაც კი უშლიდა მიკარებას. ეს ორივე კი ერთმანეთს უზიარებდნენ წარსულის ამბებს. ბუხრის საკვამლურიდან ხანდისხან ოხვრა ამოსდიოდა ძველ და ფერმკრთალ ოდას. მისი ფანჯრები პატრონის მოლოდინით დაღლილ თვალებს მოგვაგონებდა, მაგრამ ამაოდ..

ირმა მეგონია

პოეტები გვილოცავენ

ლეილა ვადაჭკორია

ერთმანეთისგან ვსწავლობთ

ცნობილი ჭეშმარიტებაა, მასწავლებელი არა თუ ასწავლის, არამედ თავადაც სწავლობს მოსწავლისაგან. საბავშვო პოეტიც ასეა, ბავშვების ქცევას აკვირდება და ბევრ სიახლეს პოულობს. ეს სიახლე კი ხდება მისი მუზის შთაგონების წყარო. პოპულარულმა საბავშვო პოეტმა ლეილა ვადაჭკორიამ სწავლის დაწყება მშვენიერი ლექსებით მიულოცა ცეროდენებს. აი, ზოგიერთი მათგანი:

* * *

ინდაყეგებიდან დაკმაუნდით

როგორ მომნატრებია
ჩემი კლასელები,
თამრიკო და ნონა,
სანდრიკა თუ სხვები

ადრე სულ კინკლაობდნენ
ნიკუშა და გეგი,
ამ ზაფხულში გამხდარან
უკვე მეგობრები.

რა მაღლები გამხდარან
თიკუნა და თულა,
ჩვენი მაგდა უფრო
გალამაზებულა.

გელა, სისხლს რომ გვიშრობდა,
ოინებით, სტვენით,
ისიც მოგვნატრებია
მისი მწარე ენით.

გული ვეღარ ვიჯერეთ
ერთმანეთის ცქერით,
მართლაც გაბრწყინებულა
ირგვლივ ყველაფერი.

ორივენი მასწავლიანენი

განა დამავიწყდება
პირველი გაკვეთილი,
ჩემი მასწავლებელი
სათნო, თბილი, კეთილი.

საოცრად შეგვაყვარა
დედა ენა ქართული
და სამშობლოს მთა-ბარი,
საქართველო ზღაპრული.

ცოდნის წყაროს დავეწაფეთ,
მზის გულივით კრიალას,
მან გვასწავლა, რომ ბნელეთი
ცოდნამ გაამზიანა.

აბა, როგორ დავივიწყებ
გულში ისე კიაფობს,
მის გაკვალულ გზაზე უნდა
ღირსეულად ვიარო.

ინა დროს ჩემი ბაღია?

ბაღში აღარ დავდივარ.
ახლა უკვე დიდი ვარ,
ახალ ცხოვრებას ვიწყებ,
დღეს სკოლაში მივდივარ.

გამომაწყვეს ლამაზად,
ჩანთაც მეტად მიხდება,
დღეიდან კი ახალი
ოცნებები იწყება.

ჩემი მასწავლებელი
რამდენ რამეს მასწავლის,
მეც ნასწავლი გამოვალ
ამ ჩემ უფროს ძმასავით.

ჭკვიანი ნინი

იცი, ბევრი ვიფიქრე და
რა მოვიფიქრე ნიკა?
მე შენ ინგლისურს გასწავლი,
შენ მე – მათემატიკა.

ზაფხულში ხომ ბევრი დრო გვაქვს,
ჰოდა, ვიმეცადინებთ,
გართობასაც კი მოვასწრებთ,
დროს თუ გავანაწილებთ.

მერე შეძენილი ცოდნის
განმტკიცება გვჭირდება,
იცი, ამის მერე სწავლა
სულ არ გაგვიჭირდება.

გაუხარდა ჩვენს ნიკოლოზს:

ჭკვიანი ხარ ნინიო,
„ხელმა ხელი დაბანა და
ორივემ კი პირიო.“

ვაჩვენი მოზარდ ლოდინის დოზა

დადგა სექტემბერი თუ არა, პოპულარული საბავშვო პოეტი **ნაირა ნიჟარაძე** მყისვე გვეწვია. აბა, გული როგორ გაუძლებდა, ცეროდენებისთვის მშვენიერი ლექსებით სწავლის დაწყება რომ არ მიელოცა?

* * *

ჩიგნი

მოუტანეს „დედა ენა“
ჩემს დაიკო ანასა,
უკეთესად ისწავლის
ქართულ ანა-ბანასა.

ანბანი

ეს ანია, ეს ბანი,
მე მიყვარხარ, ქართულო,
ჩემს რვეულში ჩამწკრივდით,
წელში გამოკვართულნო.

ჩიგნში ინ ჩერია?

სად არის ფისო?
ნუცა და ცუცა?
დამჯდარა ლუკა
და წიგნებს ფურცლავს.

შიგ რა წერია?
შრომა და ძმობა,
სულ სიყვარული
და მეგობრობა.

ნაირა ნიჟარაძე

კომპიუტერები

თითს დააჭერს, იცვლება,
ჩნდება უცხო ფერები,
რა მარდად მუშაობენ
ეს კომპიუტერები.

გია ზოგჯერ თამაშობს,
მეც კი გავიხალისებ,
დედა თუა თანახმა
მალე ბეჭდვას დავიწყებ.

საქართველო

ზღვის ტალღები გააპო და
ზედ ნაპირთან დადგა გემი,
გადმოუშვეს მძიმე ღუზა,
გადმოვიდა მამაჩემი.

- სად ნახავენ, ჩემო მამი?
მომიყევი, აბა, ერთი.
- მოვიარე მთლად მსოფლიო,
ამერიკა, ინდოეთი.

ვნახე მთები, ტბები, ზვრები,
ზღვა ამშვენებს მხარეს მზიანს,
მაგრამ ჩვენი საქართველო,
სულ ყველაზე ლამაზია!

ინფორმაცია

მიხეილ ბატიაშვილი: „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვით თითოეული სკოლის და კლასის დონეზე უნდა მივიღოთ მაღალი შედეგი“

მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი „ზოგადი განათლების რეფორმის მხარდამჭერი“ პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან ერთად იმ სკოლების დირექტორებს შეხვდა, რომელთა სკოლები „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში დღეიდან პროექტში ჩაერთვებიან.

მიხეილ ბატიაშვილმა სკოლის დირექტორებს მიმდინარე რეფორმები გააცნო და აღნიშნა, რომ „ახალი სკოლის“ მოდელი რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს და ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, მოსწავლეებში კრიტიკული, კომპლექსური აზროვნების განვითარებაზე.

შეხვედრაზე მინისტრმა ხაზი გაუსვა თავად პროექტის მიზანს, მოსალოდნელ შედეგებს და აღნიშნა, რომ პროექტის მიმდინარეობის პროცესში მონდომებასა და თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება - იმ სკოლებში სადაც დირექტორების ჩართულობა მაღალია, შედეგიც განსაკუთრებულად მაღალია.

„ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადში სრულიად ახალი განათლების სისტემა მივიღოთ. „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტი უკვე ძალიან წარმატებულია და დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელიწადში ეს მომავალ თაობებში აუცილებლად აისახება. ჩვენ მუდამ მზად ვართ თქვენს გვერდით ვიდგეთ, რადგან ჩვენი მიზანია, თითოეული სკოლისა და კლასის დონეზე მივიღოთ მაღალი შედეგი“ - განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა დირექტორებთან შეხვედრაზე.

ახალი სკოლის მოდელში“ დღეიდან კიდევ 100 საჯარო სკოლა ჩაერთვება. შესაბამისად, სკოლის დირექტორთან საინფორმაციო შეხვედრის მიზანს წარმოადგენს როგორც პროექტში ახლადჩართული საჯარო სკოლების დირექციისთვის დაგეგმილი აქტივობების გაცნობა, ასევე მოლოდინების ურთიერთგაზიარება.

2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრიდან პროექტის განხორციელება აჭარის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის 100 საჯარო სკოლაში დაიწყება.

პროექტის მისიაა სკოლებში პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემს და XXI საუკუნის გამოწვევათა მისაღებად საჭირო ცოდნით შეაიარაღებს. გარდა ამისა, პროექტის მიზანია სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნების მისაღწევად პროექტის ფარგლებში შექმნილი მხარდამჭერი ჯგუფები პედაგოგებთან შემდეგი ძირითადი მიმართულებებით იმუშავებენ:

კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარებასა და დანერგვაზე;

სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარებაზე;

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე სწავლა-სწავლების პროცესში.

აღნიშნული პროცესების ხელშეწყობის მიზნით მოხდება სკოლების ჭიჭი-ით სრული დაფარვა და კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ 2024 წლამდე ეტაპობრივად საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდება.

წიგნის წარდგინება

საჩუქარი პოეზიის მოყვარულთათვის

„ლექსის აკვანი“ - ასე ეწოდება ახალ პოეტურ კრებულს, რომლის წარდგინება საქაართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა და რომელსაც პოეტები და პოეზიის მოყვარულები ესწრებოდნენ.

პრეზენტაციაზე, მოწვეულ სტუმრებს მიესალმა წიფნის გამომცემელი გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე, გამომცემლობა **„ზენაარის“** ხელმძღვანელი **ზურაბ ქობალია.** ასევე, სიტყვით გამოვიდა კრებულის შემდგენელი და პროექტის ავტორი, პოეტი **გერმანე საზანოელი.**

პოეტური კრებული ავტორთა ხარჯით გამოვიდა და მასში შესულია 21 თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსი.

პრეზენტაციაზე, თანამედროვე პოეზიაზე და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს **მაია კახიძემ, ბელა ალანიამ, მაია ხოფერიამ, მზია კიკნაძემ, მანანა ხოზრევანიძემ, ცირა ხუციშვილმა, ზურაბ მამულაშვილმა, გურამ ჭავჭანიძემ** და სხვებმა. პოეტებმა ასევე, წაიკითხეს საკუთარი ლექსები და სტუმრების მომართ მადლიერება გამოხატეს.

„ლექსის აკვანი“ კარგ პოლიგრაფიულ დონეზე არის გამოცემული და იგი შესანიშნავი საჩუქარია პოეზიის მოყვარულთათვის.

მზია გოგოძე



ნომრის სტუმარია აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლია

მალე გვეთქვას „ვაშა, მშობლიურ კერაზე ვბრუნდებით!“

დევნილობის სევდა-სიმწარეს რა გაანელებს, მაგრამ ისიც დიდი შვებაა, რომ კერამოშლილი მთავრობა, მისი ქვემდებარა დაწესებულებები, კერძოდ, განათლებისა და კულტურის სამინისტრო ყველაფერს აკეთებს მშობლიურ კერაზე დაბრუნებისათვის, მომავალ თაობას ზრდიან მამა-პაპეული სამკვიდროს არდავიწყების სულისკვეთებით. ამ ნატვრა-ოცნების ფრთაშესხმის ავანგარდშია აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლა. ცოდნის ამ კერას და მის შრომისმოყვარე კოლექტივს უნარიანად უძღვება შემოქმედი, ერუდირებული დირექტორი, ფილოლოგიიდ დოქტორი **ნანა ჯალაღონია.**

გთავაზობთ მასტან საუბრის მოკლე შინაარს.

აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლა ბოლო წლებია ყოველ ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. სკოლაში გამოცვლილია ფანჯრები, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, კეთილმოწყობილია საკლასო ოთახები, დერეფნები, კომპიუტერული თუ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საპირფარეშოები. განახლებულია სასკოლო ავეჯი. ერთი სიტყვით ჩვენთან ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ მოწესრიგებულ და ლამაზ გარემოში. სკოლას ხელმძღვანელობს ფილოლოგიის დოქტორი, წამყვანი მასწავლებელი **ნანა ჯალაღონია,** მოადგილესთან უფროს მასწავლებელ **ჟანა ცხომარიასთან** ერთად, მჭიდრო თანამშრომლობით სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ გუნდთან, მშობლებთან, თვითმართველობის წევრებთან ერთობლივად ახორციელებენ სკოლისათვის სასიკეთო პროექტებს. მისასალმებელია ესთეტიკური სიახლე: მშობლებთან შეთანხმებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მოირგეს ლამაზი სასკოლო ფორმები. მოსწავლეებს შესაბამისი კლასების მიხედვით ტრადიციულად საჩუქრად გადაეცათ სასკოლო წიგნები, პირველკლასელებს კი წიგნებთან ერთად - ნეთბუკები. ერთი სიტყვით, ევროსტანდარტებისკენ თვალი გაბედულად უჭირავთ.

სკოლაში მუშაობენ მაღალი პროფესიული უნარების მქონე პედაგოგები, რომელთა უმრავლესობა უფროსი მასწავლებელია, აქედან ორი ელოდება სტატუსის ცვლილებას (წამყვანი), სკოლაში სამი დოქტორი პედაგოგია, **ნანა ჯალაღონია**, მათემატიკის - **რუსუდან გოგიბერიძე** და ფიზიკის - **იური გულუა,** ერთი დოქტორანტი. ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც პედაგოგებთან კოორდინირებული მუშაობით ზრუნავენ საინტერესო აქტივობების განსახორციელებლად.

კათედრებს უძღვებიან: სახელმწიფო ენის - **თოდუა ლელა,** მათემატიკისა - **ზვიადი ყალიჩავა,** უცხო ენების - **ირმა კილასონია,** დაწყებითი კლასების - **ხათუნა სახოკია,** საბუნებისმეტყველო - **ქეთევან კვარაცხელია,** საზოგადოებრივი მეცნიერებათა - **ინგა თოდუა,** ესთეტიკისა და ფიზიკური აღზრდის - **კახა ქომეთიანი.**

სკოლამ დროულად მიიღო არჩეული გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ასევე დროულად დაურიგდა ყველა მოსწავლეს. წლეულს სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებს სწავლას. ვულოცავთ მათ, ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობა ნებისმიერ მოსწავლეს და პედაგოგს შეუძლია. ფუნქციონირებს ჭრაკერვის წრე, სადაც მოსწავლეები შრომით უნარებს ივითარებენ.

მივესალმებით, ყველა იმ წამოწყებასა და რეფორმას, რაც განათლების, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. ამ მხრივ განათლების სამინიტრო სხვადასხვა საინტერესო ინიციატივას გვთავაზობს, რაც უდაოდ შედეგზეა ორიენტირებული და ჩვენც მზად ვართ, პირნათლად განვახორციელოთ სამინისტროს პროექტი.

მინდა, პედაგოგებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო და ვუსურვო ნარმატებები ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გაზეთი **„სახალხო განათლება+“** უერთდება ამ მილოცვას. უსურვებს ყველაზე სანუკვარს, მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას!

მასალა მოამზადა
ბორის კინდღელმა

რედაქტორის მინაწერი: სამწუხაროდ, ბოლო თხუთმეტი წელია აფხაზეთიდან დევნილ განათლების მუშაკებს შეეზღუდათ სამოღვაწეო სივრცე, დაიხურა მათთვის სპეციალურად გახსნილი სკოლები. პედაგოგები უმუშევრად დარჩნენ, ეს უთუოდ დიდი შეცდომა იყო. მეტად გასახარელი იქნება, თუ საქართველოს და აფხაზეთის დევნილი მთავრობა იზრუნებენ ამ უფლებების აღდგენაზე.

თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა– ქიმწმენდა

პირადი თუ საკუთარი ოჯახის ჰიგიენა უმთავრესია ჩვენი ჯანმრთელობისა და სულიერი სიმქუდროვისათვის.

მაღალ დონეზე და ხარისხიანად მოგემსახურებათ თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-ქიმწმენდა ადგილზე მიტანისა და მომსახურების სწრვიზით, ინდივიდუალური რეცხვითა და თანამედროვე სარეცხი ტექნოლოგიებით, ანტიალერგიული და სადეზინფექციო საშუალებებით. ასევე იტალიური დანადგარებითა და ტექნოლოგიით შესრულებული ქიმწმენდით.

ეწვიეთ ჩუდურეთის რაიონში, ჩიტაიას ქ. №9-ში მდებარე თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-ქიმწმენდას!..

თქვენ საოცრად კმაყოფილი დარჩებით მათი მომსახურებით!



ნაპოლეონ გერგედავას მოსაგონარი
საამაყო სახელი დატოვა

წავიდა ჩვენგან სახელოვანი პედაგოგი, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი **ნაპო თეიმურაზის ძე გერგედავა**. მეტად სამწუხაროა, რომ ამ მუდამ აქტიურ, ოპტიმისტ პატრიოტს „იყო“-თი მოვიხსენიებთ. დიახ, გალის მე-2 სკოლისა და სოხუმის პედინსტიტუტის აღზრდილი **ნაპო გერგედავა** იყო საბუნებისმეტყველო დარგის ჩინებული სპეციალისტი, ბიოლოგიის ბრწყინვალე მასწავლებელი, მოსწავლეახალგაზრდობის უღალატო აღმზრდელ-მეგობარი, „გულითა გაუტეხელი, მოუღალავი მკლავითა“.

მოღვაწეობდა გალის რაიონის ჭუბურხინჯის, ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდღის, ოხურეთის და სხვა სკოლებში ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებლად. რა საქმესაც შეეჭიდებოდა, ყველგან იმარჯვებდა. მტკიცედ მისდევდა კეისრის მცნებას: „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე!“

ყველაზე ნაყოფიერი მაინც იყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ახალი კინდღის საშუალო სკოლაში.

დირექტორ **ავთანდილ ჩანთარიას** ხელშეწყობით კეთილმოაწყო სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები აკვირდებოდნენ ცოცხალ ბიოლოგიურ პროცესებს.

უფრო მეტი, სკოლის ეზოში მოაშენა ჩაის პლანტაცია, რომელიც მალე შემოსავლიანი გახდა და შეეხიდა სკოლის სასწავლო-მატერიალურ ბაზას.

შემოქმედებითად იღვწოდა საგნის სწავლებაში მეთოდიკური არსენალის გამდიდრებისთვის. შრომებს აქვეყნებდა რესპუბლიკურ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში, საკავშირო ჟურნალში „Биологиа в школе“. ქართულ ფილოლოგიაში და ჟურნალისტიკაშიც ღრმად ჩახედული იყო, რაც უთუოდ მისი ძვირფასი მეუღლის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის **კლარა ფაჩუაშვილის** დამსახურებაა.

განა ასეთი კაცი მკვდარია? „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“. **ნაპო გერგედავამ** დაუვიწყარი სახელი და სიყვარული დატოვა ნათესავების, მეგობრების, მეზობლებისა და აღზრდილების გულში.

მეგობრების სახელით: **ბორის მიშველაძე, ტიტე და ზიგფრიდ ხუხუები, ვალტერ სიჭინავა, მარინე ჩანთარია, ხიმურ, ლიანა რუხაიები, გიზო, მზია გეგეჭკორები, ნინა ლეთოდიანი და სხვები.**

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N10 (4585)
2 ოქტომბერი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113
9 771987 911009